

## ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის 2015 წლის პროგრამები

**გზების, ქუჩებისა და ტროტუარების კეთილმოწყობის ქვეპროგრამით გათვალისწინებულია შემდეგი ღონისძიებები:**

1. ასფალტირებული ქუჩების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები - ღონისძიების ფარგლებში დაგეგმილია ქალაქში არსებული ავარიული ქუჩების ორმოული შეკეთება 25000 კვ.მ მოცულობის ფარგლებში, ქალაქში არსებულ ქუჩებში 4800 კვ.მ მოცულობაზე დაგებული რკინა-ბეტონის ფილების შეკეთება, არსებული 2000 კვ.მ მოცულობის უვარგისი გრუნტის ამოღება და ბუნებრივი ქვიშა-ხრემოვანი ნარევით შევსება; 2. არასფალტირებული ქუჩების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები - ღონისძიების ფარგლებში დაგეგმილია ქალაქში არსებული არასფალტირებული ქუჩების შეკეთება ქვიშა-ხრემოვანი ნარევით 115000 კვ.მ მოცულობაზე, აგრეთვე 80000 კვ.მ მოცულობაზე ქუჩების შეკეთება ინერტული მასალის გარეშე (გზის სავალი ნაწილის მოსწორება); 3. ბაგრატიონისა და ერისთავის ქუჩების რეკონსტრუქცია (ვაჟა-ფშაველას ქუჩიდან გოგოლის ქუჩამდე) - 988 მ. სიგრძის ქუჩის რეკონსტრუქცია-კეთილმოწყობა - ახალი სანიაღვრე სისტემის მოწყობა, ახალი საკანალიზაციო სისტემის მოწყობა, უვარგისი გრუნტის მოჭრა და მიწის ვაკისის მოწყობა, 7 სმ სისქის მსხვილმარცვლოვანი ასფალტბეტონის საფარისა და 7 სმ სისქის წვრილმარცვლოვანი ასფალტბეტონის საფარის მოწყობა. 4. ესენინის ქუჩის მონაკვეთის (ჭავჭავაძის ქუჩიდან წერეთლის ქუჩამდე) კეთილმოწყობა. განხორციელდება არსებული გზის საფარისა და ტროტუარის სადემონტაჟო სამუშაოები; მოეწყობა 8 ერთეული სანაგვე კონტეინერი და 4 ერთეული ახალი სანიაღვრე ჭა, განხორციელდება არსებული 9 ერთეული სანიაღვრე ჭის სახურავის მონტაჟი; მოეწყობა 131 გრძ.მ მანძილზე პლასტმასის სანიაღვრე მილი; განხორციელდება ფრაქციული ღორღით 2477 კვ.მ მოცულობის ფართზე 15 სმ სისქის შემასწორებელი ფენის მოწყობა და ამავე მოცულობის ფართზე 7 სმ სისქის მსხვილმარცვლოვანი ასფალტბეტონის საფარის მოწყობა; 389 კვ.მ მოცულობის ფართზე დაიგება ბეტონის დეკორატიული ფილა და მოეწყობა 190,5 გრძ.მ მანძილზე ბაზალტის ბორდიური. 5. ბერიძის ქუჩის მონაკვეთის (ჭავჭავაძის ქუჩიდან წერეთლის ქუჩამდე) კეთილმოწყობა. განხორციელდება არსებული გზის საფარისა და ტროტუარის სადემონტაჟო სამუშაოები; მოეწყობა 5 ერთეული ახალი რკინა-ბეტონის მონოლითური სანიაღვრე ჭა, განხორციელდება არსებული 8 ერთეული სანიაღვრე ჭის სახურავის მონტაჟი; 108 გრძ.მ მანძილზე მოეწყობა პლასტმასის სანიაღვრე მილი; განხორციელდება ფრაქციული ღორღით 688,9 კვ.მ მოცულობის ფართზე 15 სმ სისქის შემასწორებელი ფენის მოწყობა და ამავე მოცულობის ფართზე 7 სმ სისქის მსხვილმარცვლოვანი ასფალტბეტონის საფარის მოწყობა; 210 კვ.მ მოცულობის ფართზე დაიგება ბეტონის დეკორატიული ფილა და მოეწყობა ბაზალტის ბორდიური 125,1 გრძ.მ მანძილზე; 6. გორგილაძის ქუჩის გაგრძელება ქ. შარტავას ქუჩამდე. ღონისძიების ფარგლებში დაგეგმილია: 5754 კვ.მ მოცულობაზე ერთი ფენა 7სმ სისქის ასფალტბეტონის მსხვილმარცვლოვანი საფარისა და 12757 კვ.მ. მეორე ფენა 5 სმ სისქის მკვრივი წვრილმარცვლოვანი ასფალტბეტონის საფარის დაგება; მოეწყობა 885 გრძ.მ. ბაზალტის ბორდიური; 2687 კვ.მ მოცულობაზე 5 სმ სისქის ბეტონის დეკორატიული ფილების დაგება; სანიაღვრე სისტემების სამუშაოების განხორციელება; დამონტაჟდება მიწისქვეშა სანაგვე კონტეინერები; 7. ჰაიდარ აბაშიძის ქუჩის მონაკვეთის (ჭავჭავაძის ქუჩიდან პუშკინის ქუჩამდე) კეთილმოწყობა - განხორციელდება 15X30 ზომის

ბაზალტის ბორდიურის მოწყობა, ორშრიანი დეკორატიული ფილების მოწყობა, ხეების ირგვლივ ჩამკეტების მოწყობა, დაიგება 14 სმ-ი სისქის ბეტონის საფარი; 8. შემოერთებულ ტერიტორიებზე ქუჩების კეთილმოწყობა - ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება 20 600 კვ.მ ბეტონის საფარისა და 40 300 კვ.მ მოცულობაზე ასფალტ-ბეტონის წვრილმარცვლოვანი საფარის დაგება. 9. ზედაღელის ქუჩის ზედა ნაწილის I შესახვევის კეთილმოწყობა - განხორციელდება 1950 კვ.მ ფართობზე 10 სმ სისქის ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით საფარის მოყვანა პროფილზე და ამავე მოცულობის ფართობზე დაიგება 14 სმ სისქის ბეტონის საფარი, 219 გრძ.მ მანძილზე განხორციელდება დეფორმაციული ნაკერის მოწყობა; 10. ზედაღელის ქუჩის ზედა ნაწილის II შესახვევის კეთილმოწყობა - განხორციელდება 1618 კვ.მ ფართობზე 10 სმ სისქის ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით საფარის მოყვანა პროფილზე და ამავე მოცულობის ფართობზე დაიგება 14 სმ სისქის ბეტონის საფარი, 177 გრძ.მ მანძილზე განხორციელდება დეფორმაციული ნაკერის მოწყობა; 11. დემეტრე თავდადებულის ქუჩის (რუსთაველიდან წინოშვილის ქუჩამდე) მონაკვეთზე სადგომზე შეჭრა - მოეწყობა ბაზალტის ბორდიური 112 გრძ.მ მანძილზე და გზის საფარზე დაეგება შავი ბაზალტის ქვაფენილი; 12. თევდორე მღვდლის ქუჩის №27, №29 მონაკვეთის ასფალტირება, გარე განათების მოწყობა - დამონტაჟდება 2 ერთეული გარე განათების ბოძი სანათებით, 683,7 კვ.მ მოცულობის ფართზე განხორციელდება საფარის მოწყობა 15 სმ სისქის ფრაქციული ღორღით და ამავე მოცულობაზე დაიგება 5 სმ სისქის წვრილმარცვლოვანი ასფალტ-ბეტონის საფარი; მოეწყობა 138,1 კვ.მ მოცულობაზე 14 სმ სისქის ბეტონის საფარი და 24 გრძ.მ მანძილზე დეფორმაციული ნაკერი; 13. ჯინჭარაძის ქუჩის №1-დან №11-მდე საცალფეხო ბილიკისა და მოაჯირის მოწყობა - მოეწყობა 105,2 კვ.მ ფართობის ხიდის მოაჯირები, ლითონის კონსტრუქციით და 166,5 კვ.მ მოცულობის ფართზე 5 სმ სისქის წვრილმარცვლოვანი ასფალტ-ბეტონის საფარი, დაიგება ბეტონის ფერადი დეკორატიული ფილა 260 კვ.მ ფართობზე (ორშრიანი, ზომით 5+1); 14. თამარ მეფის გამზირი № 48-ის მიმდებარედ ხიდის გაფართოება და მოაჯირების მოწყობა - მოეწყობა 6.1 კვ.მ მოცულობის მონოლითური ფილა და 27,8 კვ.მ მოცულობის მოაჯირი. 15. ჯინჭარაძის ქუჩის №21-ის მიმდებარედ ხიდზე მოაჯირების მოწყობა - მოეწყობა 3.5 კვ.მ მოცულობის რკინა/ბეტონის საძირკველი და 57,5 კვ.მ მოცულობის ხიდის მოაჯირი; 115 კვ.მ მოცულობის ხიდის ლითონის კონსტრუქცია დამუშავდება ანტიკოროზიული ხსნარით. 16. გოგებაშვილის ქ. №28-სა და №30 სახლებს შორის არსებული ტერიტორიის კეთილმოწყობა - განხორციელდება 4 ერთეული რკინა-ბეტონის ჭის თავსახურის მონტაჟი, მოეწყობა 35 კვ.მ მოცულობის ბეტონის დეკორატიული ფილა (ორშრიანი, ზომით 5+1) და 19 კვ.მ მოცულობის 5 სმ სისქის გრანიტის ბუნებრივი ფილა; 17. ქ. ბათუმში, ზედაღელის ქუჩა №9-ის მიმდებარედ რკინა-ბეტონის საყრდენი კედლის მოწყობა - პროექტის ფარგლებში მოეწყობა 48.8 კვ.მ მოცულობის რკინა-ბეტონის მონოლითური საყრდენი კედელი, 5 გრძ.მ მანძილზე სადეფორმაციო ნაკერი; აგრეთვე მოეწყობა 17.25 კვ.მ მოცულობის ფართზე მოაჯირი, ლითონის კონსტრუქციით, 2.3 გრძ.მ მანძილზე რკინა-ბეტონის სანიაღვრე არხი და 15 კვ.მ მოცულობის გაბიონი. 18. თამარ მეფის გამზირი №42-დან №54-მდე საცალფეხო ბილიკის მოწყობა - პროექტის ფარგლებში განხორციელდება 246 გრძ. მ მანძილზე ბეტონის ანაკრები ბორდიურისა და 737 კვ.მ მოცულობის ბეტონის ფერადი დეკორატიული ფილის (ორშრიანი, ზომით 5+1) მოწყობა; 167.9 კვ.მ მოცულობის ფართზე დაიგება ორი შრე მსხვილმარცვლოვანი 7 სმ და წვრილმარცვლოვანი 5 სმ სისქის ასფალტ-ბეტონის საფარი; აგრეთვე მოეწყობა 11.9 კვ.მ მოცულობის ფართზე მოაჯირი ლითონის კონსტრუქციით. 19. მახინჯაურის ცენტრში ბორდიურისა და ფილების მოწყობა - პროექტის ფარგლებში მოეწყობა 126 გრძ.მ მანძილზე ბეტონის ანაკრები ბორდიური, დაიგება 157 კვ.მ ფართობზე ვორდის საფარი და მოეწყობა 44 კვ.მ მოცულობის სკვერის დეკორატიული ღობე; 20. კონცელიძის ქ.№ 19-ის

მიმდებარედ ხიდზე მოაჯირის მოწყობა - პროექტის ფარგლებში მოეწყობა 10 კბ.მ მოცულობის რკინა-ბეტონის საყრდენი პორტატული კედელი და 4.6 კბ.მოცულობის რკინა-ბეტონის მონოლითური ფილა; 21. ვიდეო-კამერების სერვერებისათვის გენერატორისა და აქსესუარების შეძენა - პროექტის ფარგლებში განხორციელდება 1 ერთეული დიზელ-გენერატორის, სინქრონიზაციისა და მართვის სისტემის, ელ.მომარაგების სტაბილიზატორის, ელ.მომარაგების ავტოგადამრთველისა და 4 ერთეული სასერვერო ოთახის მიკრო კლიმატის კონტროლის სისტემის შეძენა-მონტაჟი.

### **კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის ფარგლებში უნდა განხორციელდეს:**

1. ჟილინის არხის კაპიტალური რეკონსტრუქცია - პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია 3300 გრძ.მ სხვადასხვა კვეთების და დიამეტრების რკინა-ბეტონის არხისა და მილების მშენებლობა და გადახურვის ფილების მოწყობა, განხორციელდება ასევე არხის გაფართოება გარკვეულ მონაკვეთებში, რაც გაზრდის არხის გამტარუნარიანობას. 2. სანიაღვრე ქსელების მიმდინარე მოვლა-ექსპლუატაცია - ღონისძიების ფარგლებში დაგეგმილია: 2400 სანიაღვრე ჭის გაწმენდა, შლამის ამოღება და გატანა შლამმწოვის საშუალებით (თვეში ერთჯერ, ყოველთვიურად); დახურული სანიაღვრე არხების გაწმენდა; ღია სანიაღვრე არხების გაწმენდა; სანიაღვრე მილების გაწმენდა ჭურვის გატარებით; სანიაღვრე ჭების მიმდინარე შეკეთება; ზღვაში გასასვლელი არხების გაწმენდა; გადახურვის ფილის გამოცვლა; სანიაღვრე არხების სანიტარულ-ჰიგიენური დამუშავება; მდინარეების ფსკერების გაწმენდა - 1 170 კბ.მ.მოცულობაზე. 3. მიხეილ ჯავახიშვილის ქუჩის სანიაღვრე სისტემის მოწყობა - პროექტის ფარგლებში დაგეგმილია პლასტმასის გოფირებული სანიაღვრე მილის მოწყობა, რკინა-ბეტონის ბ-25 მონოლითური სანიაღვრე ჭების მოწყობა (30 ცალი), მდინარის კალაპოტთან დამცავი გაბიონების მოწყობა არსებული ყორე - ქვით და გაბიონის ყუთით ღიობში მილის გატარებით, 72 კვ.მ. წვრილმარცვლოვანი ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობა. 4. თამარის დასახლება სახლი №1 და სახლი №3 მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სანიაღვრე სისტემის რეკონსტრუქცია - ღონისძიების ფარგლებში დაგეგმილია მიწის ამოღება სანიაღვრე მილების და ჭების მოსაწყობად, მოეწყობა სანიაღვრე ჭებისათვის ქვიშა-ხრეშით 10 სმ სისქის საფუძველი, მოეწყობა რკინა-ბეტონის მონოლითური სანიაღვრე ჭები, სანიაღვრე მილების მოსაწყობად მომზადდება ქვიშის ბალიში, მოეწყობა პლასტმასის გოფირებული სანიაღვრე მილი, დაერთდება მილები ჭებთან და არსებულ ქსელთან, შეივსება ტრანშიეი შემოტანილი ქვიშა-ხრეშით, მოიჭრება გრუნტი დეკორატიული ფილის მოსაწყობად, მოეწყობა 420 კვ.მ დეკორატიული ფილა, მოეწყობა ბეტონის ანაკრები ბორდიური; 5. აღმაშენებლისა და გენერალ აბაშიძის, აღმაშენებლისა და ტბელ აბუსერიძის ქუჩების მიმდებარე ტერიტორიის უბნის სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაცია - პროექტის ფარგლებში განხორციელდება სისტემის სრული რეაბილიტაცია, მთავარ კოლექტორზე მიერთების სამუშაოები. 4100 გრძ.მ მანძილზე მოეწყობა სანიაღვრე ქსელი; 6. ანდრია პირველწოდებულის III შესახვევში სანიაღვრე არხის რეკონსტრუქცია - პროექტის ფარგლებში განხორციელდება 105 კბ.მ მოცულობის სანიაღვრე არხის რკინა-ბეტონის მონოლითური კედლის მოწყობა; 14 გრძ.მ მანძილზე მოეწყობა სადეფორმაციო ნაკერი და 8.6 კვ.მ მოცულობის მოაჯირი; 7. ანდრია პირველწოდებულის VI ჩიხში არსებული სანიაღვრე არხის რეკონსტრუქცია - პროექტის ფარგლებში მოეწყობა 152 კბ.მ მოცულობის სანიაღვრე არხის რკინა-ბეტონის მონოლითური კედელი, 27 გრძ.მ მანძილზე ტემპერატურული ნაკერები და დაიგება 60 კბ.მ მოცულობის რკინა-ბეტონის მონოლიტური ფილა; მოეწყობა 7.4 კბ.მ მოცულობის რკინა-ბეტონის საყრდენი

პორტალური კედელი და 15 კვ.მ ფართობზე ხიდის მოაჯირი ლითონის კონსტრუქციით. 8. აფსაროსის გზატკეცილის I შესახვევი №30 სახლის მიმდებარედ სანიაღვრე არხის რეკონსტრუქცია - პროექტის ფარგლებში განხორციელდება 10.6 კვ.მ მოცულობის სანიაღვრე არხის რკინა-ბეტონის მონოლითური კედელისა და 8.04 კვ.მ მოცულობის რკინა-ბეტონის საყრდენი პორტალური კედელის მოწყობა; ხიდის სავალ ნაწილზე მოეწყობა 2.64 კვ.მ მოცულობის რკინა-ბეტონის მონოლითური ფილა და 4.6 კვ.მ ფართობის მოაჯირი. 9. ზედაელის დასახლება №14-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის რეკონსტრუქცია - პროექტის ფარგლებში მოეწყობა 34.7 კვ.მ მოცულობის სანიაღვრე არხის რკინა-ბეტონის მონოლითური კედელი და 6.34 რკინა-ბეტონის ეზოში შესასვლელი მონოლითური ფილა; აგრეთვე 11 გრძ.მ მანძილზე მოეწყობა ლითონის სანიაღვრე მილი და 36.2 კვ.მ მოცულობის მოაჯირი. 10. მაიაკოვსკისა და სახოკიას ქუჩების კვეთაში არსებული სანიაღვრე არხის რეკონსტრუქცია - პროექტის ფარგლებში განხორციელდება 3.44 კვ.მ მოცულობის რკინა-ბეტონის საყრდენი პორტალური კედელის მოწყობა; ხიდის სავალ ნაწილზე მოეწყობა 3.15 კვ.მ მოცულობის რკინა-ბეტონის მონოლითური ფილა და პარაპეტი. 11. სანიაღვრე ჭის სახურავების შექმნა - პროექტის ფარგლებში განხორციელდება 750 ერთეული სანიაღვრე ჭის თუჯის ოთხკუთხა ცხაურის და 600 ერთეული საკანალიზაციო ჭის თუჯის ოთხკუთხა სახურავის შექმნა. 12. კაზინეცის ქუჩის სანიაღვრე არხის მოწყობა - პროექტის ფარგლებში განხორციელდება 0,8 კვ.მ მოცულობის რკინა-ბეტონის მონოლითური სანიაღვრე ჭის და 8,1 კვ.მ რკინა-ბეტონის სანიაღვრე არხის მოწყობა. 13. წმინდა ევდემოზ დიასამიძის ქუჩის სანიაღვრე არხისა და გარე განათების მოწყობა-პროექტის ფარგლებში განხორციელდება 1,5 კვ.მ სანიაღვრე კამერის მოწყობა (1 ცალი); 16,4 კვ.მ მანძილზე მოეწყობა რკინა-ბეტონის სანიაღვრე არხი; 36,5 გრძ.მ მანძილზე მოეწყობა ლითონის ცხაური; 27,7 კვ.მ მოცულობაზე მოეწყობა რკინა-ბეტონის სანიაღვრე არხი; 44გრძ.მ მანძილზე მოეწყობა ლითონის ცხაური; 92,1 გრძ.მ მოეწყობა სანიაღვრე არხი; 161,5გრძ.მ მანძილზე მოეწყობა ლითონის ცხაური; 34 გრძ.მ მანძილზე მოეწყობა რკინა-ბეტონის სანიაღვრე მილი. 14. ზედაელის დასახლება №14-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის რეკონსტრუქცია-პროექტის ფარგლებში განხორციელდება 34,7 კვ.მ მოცულობის სანიაღვრე არხის რკინა-ბეტონის მონოლითური კედლის მოწყობა; 6,34 კვ.მ მოცულობაზე, ეზოში შესასვლელზე, მოეწყობა რკინა-ბეტონის მონოლითური ფილა; 11გრძ.მ მანძილზე მოეწყობა სანიაღვრე ლითონის მილი; 59 გრძ.მ მანძილზე მოეწყობა რკინა-ბეტონის სანიაღვრე მილი; 36, 2 კვ.მ მოცულობაზე მოეწყობა მოაჯირი; 15. კახაბრის ქუჩის მონაკვეთის სანიაღვრე არხის მოწყობა - პროექტის ფარგლებში განხორციელდება 81კვ.მ მოცულობის რკინა-ბეტონის სანიაღვრე არხის მოწყობა; 100კვ.მ მოცულობაზე მოეწყობა ლითონის ცხაური; 10,8 კვ.მ მანძილზე მოეწყობა სანიაღვრე ჭები; 17, 9 გრძ.მ მანძილზე მოეწყობა სანიაღვრე მილი; 838 გრძ.მ მანძილზე მოეწყობა სადრენაჟე სისტემა. 16. მ. ლებანიძის ქ.№ 1-დან №21-მდე სანიაღვრე არხის რეკონსტრუქცია - პროექტის ფარგლებში განხორციელდება 6,1 კვ.მ მოცულობის რკინა-ბეტონის სანიაღვრე არხის მოწყობა; 13,5 კვ.მ მოცულობაზე მოეწყობა ლითონის ცხაური; 7,52 კვ.მ მოცულობაზე მოეწყობა რკინა-ბეტონის საყრდენი პორტალური კედელი; 3, 84 კვ.მ მოცულობაზე ხიდის სავალ ნაწილზე მოეწყობა რკინა-ბეტონის მონოლითური ფილა; 5კვ.მ მოცულობაზე მოეწყობა ხიდის მოაჯირი. 17. ნაჭყებიას ქუჩის სანიაღვრე არხის რეკონსტრუქცია - პროექტის ფარგლებში განხორციელდება 10, 9 კვ.მ მოცულობის სანიაღვრე არხის რკინა-ბეტონის მონოლითური კედლის მოწყობა; 34,9 კვ.მ მოცულობაზე მოეწყობა რკინა -ბეტონის მონოლითური სანიაღვრე არხი; 7გრძ.მ მანძილზე მოეწყობა ტემპერატურული ნაკერი. 18. ტბეთის ქუჩა №18-ის მოპირდაპირედ სანიაღვრე არხის მოწყობა - პროექტის ფარგლებში განხორციელდება 4,67 კვ.მ მოცულობის რკინა-ბეტონის მონოლითური სანიაღვრე ჭების მოწყობა; 98 გრძ.მ მანძილზე მოეწყობა გოფირებული სანიაღვრე

მილი. 19. აღმაშენებლისა და ბაგრატიონის ქუჩების კვეთაში არსებული სანიაღვრე არხის რეკონსტრუქცია - პროექტის ფარგლებში მოეწყობა სანიაღვრე ჭები, მოეწყობა სანიაღვრე მილი 26 გრძ.მ მანძილზე, დაგეგმილია ტროტუარებზე დეკორატიული ფილის მოწყობა 32კვ. მ. ფართობზე. ასევე დაგეგმილია ბეტონის ანაკრები ბორდიურის მოწყობა 27გრძ.მ. მანძილზე. 20. ურეხის ქუჩის I შესახვევში არსებული სანიაღვრე არხის რეკონსტრუქცია - პროექტის ფარგლებში დაგეგმილია რკინა-ბეტონის სანიაღვრე არხის მოწყობა 27.7 კბ.მ მოცულობაზე, ასევე დაგეგმილია ლითონის ცხაურის მოწყობა 61.5კვ.მ ფართობზე; 21. წმინდა ნინოს და სვიმონ კანანელის ქუჩების კვეთაში სანიაღვრე არხის რეკონსტრუქცია-პროექტის ფარგლებში დაგეგმილია არსებული სანიაღვრე არხის (კიუვეტის) ამოწმენდა; ასევე 48.4 კბ.მ მოცულობის სანიაღვრე არხის რკინა-ბეტონის მონოლითური კედლის მოწყობა. 22. სვიმევსკის შესახვევში გაბიონის მოწყობა - პროექტის ფარგლებში მოეწყობა 40.3 კბ.მ მოცულობის დამცავი კედელი, ხიდზე 27,4 კვ.მ მოცულობის მოაჯირი და 54.8 კვ.მ მოცულობის ხიდის ლითონის კონსტრუქცია დამუშავდება ანტიკოროზიული ხსნარით.

**წყლის სისტემების რეაბილიტაციის ქვეპროგრამით გათვალისწინებულია შემდეგი ღონისძიებები:**

1. მუსხელიშვილის ქ. №84-ში ჭაბურღილის სისტემის მოწყობა - ღონისძიების ფარგლებში დაგეგმილია არტეზიული ჭის მოწყობა როტორული ბურღვით პირდაპირი გარეცხვით - 100 მ; წყალსადენის მილების მოწყობა ფასონური ნაწილების კომპლექტით - 300 გრძ.მ; გამრეცხისა და გამომსვლელი ლითონის მილის მოწყობა - 60 გრძ.მ; უჟანგავი ფოლადის 2 ცალი წყლის ავზის მონტაჟი თითოეული 15 მ3 - 4,56 ტ.;

**კანალიზაციის სისტემების რეაბილიტაციის ქვეპროგრამით გათვალისწინებულია შემდეგი ღონისძიებები:**

1. აღმაშენებლისა და გენერალ აბაშიძის, აღმაშენებლისა და ტბელ აბუსერიძის ქუჩების მიმდებარე ტერიტორიის უბნის საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია - აღმაშენებლისა და გენერალ აბაშიძის ქუჩების საკანალიზაციო სისტემის სრული რეკონსტრუქციისას განხორციელდება სისტემის სრული რეაბილიტაცია, მთავარ კოლექტორზე მიერთების სამუშაოები, 2800 გრძ.მ მანძილზე მოეწყობა საკანალიზაციო ქსელი; აღმაშენებლისა და ტბელ აბუსერიძის ქუჩების საკანალიზაციო სისტემის სრული რეკონსტრუქციისას განხორციელდება სისტემის სრული რეაბილიტაცია, მთავარ კოლექტორზე მიერთების სამუშაოები, 1700 გრძ.მ მანძილზე მოეწყობა საკანალიზაციო ქსელი.

**ქ. ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის თანადაფინანსების ქვეპროგრამით განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:**

1. შპს "ბათუმის წყლის" სუბსიდირება - ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის სამუშაოებთან დაკავშირებით გაფორმებული განსაკუთრებული შეთანხმებით თუ კი არ განხორციელდება წყლის ტარიფის ზრდა, წყლის და კანალიზაციის სისტემების მდგრადი ექსპლუატაციისათვის ქალაქ ბათუმს ვალდებულია აქვს აღებული განხორციელოს შპს "ბათუმის წყლის" სუბსიდირება; 2. მრავალსართულიანი

საცხოვრებელი სახლების გამრიცხველიანება (ინდივიდუალური წყალმომების დაყენება) - ღონისძიების ფარგლებში დაგეგმილია 48 000 აბონენტის გამრიცხველიანება, მათ შორის, დღეის მდგომარეობით გამრიცხველიანებულია 17 000 აბონენტი. პროექტი ითვალისწინებს 2016 წლამდე აღნიშნული აბონენტების სრულ, ხოლო 2015 წლის მდგომარეობით არსებული რაოდენობის 60 პროცენტის გამრიცხველიანებას; 3. მახინჯაური - მწვანე კონცხის წყლის ქსელის რეაბილიტაცია, ჩაქვის ტერიტორიაზე - წყალარინების მობილური გამწმენდი ნაგებობისათვის ქსელის მშენებლობა - მწვანე კონცხის წყლის ქსელის რეაბილიტაცია - ღონისძიების ფარგლებში დაგეგმილია ერთი 900 ტონიანი რეზერვუარის მშენებლობა, სამომხმარებლო ქსელით, აგრეთვე განხორციელდება თანმხვედრი სამუშაოები; ღონისძიების ფარგლებში დაგეგმილია ერთი 900 ტონიანი და ორი 1150 ტონიანი რეზერვუარის მშენებლობა, თანმხვედრი სამუშაოების შესრულებით; ღონისძიებით გათვალისწინებულია რეზერვუარის მშენებლობის დასრულების შემდეგ სამომხმარებლო ქსელის მშენებლობა-რეაბილიტაცია; 4. პროექტის ფარგლებში წარმოქმნილი დღგ-ს თანადაფინანსება (დღგ-ს 50%, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის წილის თანადაფინანსება) - ღონისძიებით გათვალისწინებულია გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკის (kfw) მიერ გაცემული შეღავათიანი სესხის დღგ-ს თანადაფინანსება; 5. ჩაქვის წყლის გადამცემი მაგისტრალის ქალაქის მონაკვეთის რეაბილიტაცია - პროექტის ფარგლებში იგეგმება ჩაქვის წყლის გადამცემი მაგისტრალის შიდა გამოკვრის სამუშაოები 4064 გრძ.მ მანძილზე.

**ქალაქის დასუფთავების ქვეპროგრამით გათვალისწინებულია შემდეგი ღონისძიებები:**

1. ქალაქის დასუფთავება - ქალაქის ტერიტორიის დაგვა-დასუფთავება - 1261300 კვ.მ დღეში ორჯერ; ქალაქის ტერიტორიის დაგვა-დასუფთავება - 1127450 კვ.მ დღეში ერთჯერ; ქალაქის ტერიტორიის დამატებით მესამეჯერ დასუფთავება - 209090 კვ.მ; მწვანე საფარის დასუფთავება - 233 870 კვ.მ. დღეში ერთხელ; ეზოების ფართის დასუფთავება თვეში სამჯერ - 701960 კვ.მ; კონტეინერის გარეცხვა სულ 12 თვეში - 10000 ცალი; ტერიტორიის მორწყვა სეზონურად დღეში ორჯერ - 162500 კვ.მ (სულ 80 დღე); ქუჩებისა და მოედნების მორწყვა-მორეცხვა პერიოდულად, მერიის დაკვეთის შესაბამისად; ტერიტორიის თოვლის საფარისგან გაწმენდა - 200000 კვ.მ სულ 30-ჯერ; სანაპიროს ზოლის დასუფთავება თვეში 3-ჯერ - 326600 კვ.მ (იანვარი-აპრილი, ოქტომბერი-დეკემბერი); სანაპიროს ზოლის დასუფთავება ყოველდღე სეზონურად - 326600 კვ.მ (მაისი-სექტემბერი); 2. ნარჩენების გატანა-საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა წლის განმავლობაში - 70 000 ტონა. 3. ნაგავსაყრელის ექსპლუატაცია და სანიტარიული მომსახურება - ნაგავსაყრელის ტერიტორიაზე შეტანილი ნარჩენების ყოველდღიურად მოსწორება და დატკეპნა მექანიკური საშუალებით, პოლიგონის მოწყობა ქვალორღოვანი ნარევის მინიმუმ 30 სმ. სისქის ფენით, მისასვლელი გზის შენარჩუნება ვარგის მდგომარეობაში. 4. დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირება - დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის აბონენტთა ბაზის განახლება და ადმინისტრირება, დასუფთავების მოსაკრებლის ბაზის წყლის კომპანიის ბაზაში ინტეგრაცია და კომუნალური გადასახადების (წყალ-კანალიზაციის საფასური და დასუფთავების მოსაკრებელი) აბონენტებზე ერთიანი ქვითრების მიწოდება. 5. მაწანწალა ცხოველების გაუვნებელყოფა - ღონისძიების ფარგლებში განხორციელდება მიუსაფარი და მაწანწალა ცხოველების მოვლა პატრონობის ღონისძიებები, მათ შორის: 5000 ერთეული ცხოველის (მიუსაფარი ძაღლების, კატების) დაჭერა და ტრანსპორტირება; განხორციელდება ევთანაზია (ჰუმანური დაზინება ნარკოზით, გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული), სტერილიზაცია, ვაქცინაცია და დაბირკვა, კასტრაცია.

**გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის ქვეპროგრამით გათვალისწინებულია შემდეგი ღონისძიებები:**

1. გარე განათების წერტილების მოვლა-ექსპლუატაცია - ქალაქის ტერიტორიაზე, ქუჩებში, სკვერებში, პარკებში, შენობების ფასადებზე არსებული განათების (სანათების, პროექტორების, მანათობელი მილების და სხვ. გამართული მუშაობის უზრუნველყოფა. გადამწვარი და დაზიანებული მასალების გამოცვლა-შეკეთება, ელექტროენერჯის მიტაცების ფაქტების აღმოფხვრა, ყოველდღიური ჩამოვლა-შემოწმება, დაზიანებული ბოძების დემონტაჟი, ძველი ბოძების გადაღება. 2. ქუჩების გარე განათების სამუშაოები - ღონისძიების ფარგლებში დაგეგმილია ქალაქის შემოერთებული ტერიტორიაზე არსებულ ქუჩებზე 680 ერთეული გარე განათების ელექტრო ბოძის დამონტაჟება სანათებით, აგრეთვე, თანმხვედრი სამუშაოების განხორციელება, ქალაქის ტერიტორიაზე გარე განათებისა და მერიის საკუთრებაში არსებული ობიექტების ქსელში ჩართვის საფასურის დაფარვა; ელექტროენერჯის საფასურის დაფარვა - გარე განათების და ქ. ბათუმის მერიის ობიექტების ელექტროენერჯის საფასურის დაფარვა.

**ქალაქის კეთილმოწყობის პროგრამის ფარგლებში უნდა განხორციელდეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა და ტექნიკური ზედამხედველობის ქვეპროგრამით შემდეგი ღონისძიებები:**

1. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება - ქ. ბათუმში ქუჩების რეკონსტრუქციის, ეზოების, ქუჩების სანიაღვრე და საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაციის, ქუჩების, პარკების, სკვერებისა და მოედნების განათების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;

ქ. ბათუმში შენობა-ნაგებობების სამშენებლო, სარემონტო და სარეკონსტრუქციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;

1. ქ. ბათუმში სხვადასხვა (ფასადების შეღებვა, სპორტული მოედნების მოწყობის, სკვერებისა და პარკების გამწვანებისა და სხვა) სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა; 2. ტექნიკური ზედამხედველობის გაწევა - კონტროლი საპროექტო გადაწყვეტილებების დაცვაზე, ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებზე; შესრულებული სამშენებლო სამუშაოების, გამოყენებული კონსტრუქციების, ნაკეთობებისა და მასალების საპროექტო გადაწყვეტასთან, სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნებთან, სტანდარტებთან, ტექნიკურ პირობებსა და სხვა ნორმატიულ დოკუმენტაციასთან შესაბამისობის კონტროლი, მშენებლობაზე გამოყენებული კონსტრუქციების, ნაკეთობებისა და მასალების ტექნიკური პასპორტების, სერთიფიკატების, ლაბორატორიული შემოწმების შედეგებისა და ხარისხის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტების არსებობის შემოწმება, საჭიროების შემთხვევაში, ლაბორატორიული შემოწმების ჩატარება და სხვა;

**ქალაქის გაფორმების ქვეპროგრამით გათვალისწინებულია შემდეგი ღონისძიებები:**

1. საშობაო-საახალწლო დღესასწაულისათვის ქალაქის გაფორმება - ნამძვის ხის მონტაჟი, ნამძვის ხის გაწყობა-გაფორმება და საახალწლო აქსესუარებით. ახალი საახალწლო აქსესუარების შექმნა,

ქუჩების გაფორმება საახალწლო აქსესუარებით. საახალწლო ღონისძიებების დასრულების შემდგომ მათი დემონტაჟი; 2. წლის განმავლობაში ქალაქის გაფორმების ღონისძიებები - ორმხრივი ბილბორდების დამზადება-მონტაჟი, მემორიალური დაფების დამზადება-მონტაჟი. ნუმერაციის აღმნიშვნელი დაფების შექმნა-მონტაჟი, საინფორმაციო დაფების, შრიფტული, მისასალმებელი და სააგიტაციო ბანერების, პლაკატების დამზადება-მონტაჟი, ქუჩის მიმართულების მიმანიშნებელი ბანერების დამზადება-მონტაჟი, მემორიალური დაფების დამზადება-მონტაჟი, ძეგლების და ბიუსტების გაწმენდა, მცირე რესტავრაცია, შენობა-ნაგებობების ფასადების გაწმენდა ლაქებისაგან; ქალაქში არსებული სტაციონალური ფლაგშტოკებისათვის დროშების შეკერვა, გამოფენა და შემდგომში დემონტაჟი; ქალაქში არსებული წრიული სადგარებისათვის დროშების შეკერვა და მონტაჟი.

**პარკების, სკვერებისა და მოედნების კეთილმოწყობის ქვეპროგრამით გათვალისწინებულია შემდეგი ღონისძიებები:**

1. ლერმონტოვის ქუჩაზე სკვერის კეთილმოწყობა - პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქ. ბათუმში ლერმონტოვის ქუჩა №266 კვარტლის მიმდებარე ტერიტორიაზე ახალი სკვერის მოწყობა. ღონისძიებით გათვალისწინებული სამუშაოები მოიცავს კომუნალური და გარე განათების სისტემის სრულყოფას, არსებული საფარის მოწესრიგებას, ბაზალტის ბორდიურის და დეკორატიული ფილების მოწყობას, სკამების, საბავშვო ატაქციონისა და ტრენაჟორების დამონტაჟებას. აგრეთვე პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია პარკის ტერიტორიაზე მინი-სტადიონისა და მისავლელი გზის მოწყობა; 2. სკვერების კეთილმოწყობა - პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია შემხვედრი გარემოებებიდან გამომდინარე ქალაქის არსებული დასასვენებელი და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება. სკვერებში არსებული ხარვეზების ესთეტიკური თვალსაზრისით მოწესრიგება, ლანდშაფტური იერსახის გაუმჯობესება. ეკოლოგიური და დასასვენებელი გარემოს შექმნა. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ჯავახიშვილის ქუჩის №70-72-74 -ში, ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე, აგრეთვე დემეტრე თავდადებულისა და ბესიკის ქუჩების კვეთაში, არსებული სტადიონის დემონტაჟი და მის ადგილზე სკვერის მოწყობა, ორშრიანი დეკორატიული ფილების დაგება, ბაზალტის ბორდიურების მოწყობა, დეკორატიული გარე განათების სისტემის მონტაჟი, საპარკე სკამებისა და ურნების დამონტაჟება; 3. ისრაფილ ჯინჭარაძის სახელობის სკვერის კეთილმოწყობა - სკვერში არსებული ძეგლის, ბიუსტისა და ქანდაკებების რეკონსტრუქცია, არსებული სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია და კიბეების რეკონსტრუქცია. გარე განათების სისტემის სრულყოფა არსებული ელ.სადენების რეაბილიტაცია. სკამების მონტაჟი. დეკორატიული ფილების დაგება.

**საბავშვო ბაღების შენობების რეაბილიტაციის ქვეპროგრამით გათვალისწინებულია შემდეგი ღონისძიებების განხორციელება:**

1. კახაბრის დასახლებაში საბავშვო ბაღის მშენებლობა - ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა, სართულშუა გადახურვის მოწყობა, სახურავის მოწყობა პროფილირებული ფერადი ლითონის ფურცლებით, ტიხრებისა და კედლების მოწყობა, იატაკების მოწყობა პარკეტითა და კერამოგრანიტის ფილებით, მეტალოპლასტმასის ფანჯრებისა და კარების მოწყობა, შენობის შიდა და გარე წყლისა და საკანალიზაციო სისტემის მოწყობა, ფასადზე ქაფქლასტის ფილების მოწყობა, საქვაბისა და სათავსოს მშენებლობა, შენობის გათბობის მოწყობა, სახანძრო სიგნალიზაციის



მონტაჟი, ეზოს კეთილმოწყობა; 2. მაზნიაშვილის ქუჩაზე მდებარე N5 საბავშვო ბაღის შენობის სარეაბილიტაციო-დაშენების სამუშაოები - მოეწყობა სახურავი მეტალოკრამიტის ფურცლებით, წყალსაწრეტი მილები და ღარები; ლითონის კარი და მეტალო-პლასტმასის ფანჯარა. დაიგება მეტლახის ფილები და კერამოგრანიტის ფილები. სველ წერტილებში მოეწყობა კაფელი. მოეწყობა ლამინირებული იატაკი. განხორციელდება ეზოს კეთილმოწყობა, ელექტროგადამცემი ხაზების მონტაჟი და კომუნალური სისტემის რეაბილიტაცია. 3. ტაბიძის ქ. N14-ში მდებარე შენობის საბავშვო ბაღად გადაკეთების სამუშაოები- განხორციელდება არსებული შენობის საბავშვო ბაღად გადაკეთების სამუშაოები, რომლის ფარგლებშიც მოხდება სახურავის, კარებისა და ტიხრების დემონტაჟი. ლითონის ელემენტების დაფარვა ანტიკოროზიული გრუნტით და შეღებვა სპეციალური საღებავით. განხორციელდება სართულშუა გადახურვა და ხის ელემენტების ანტისეპტირება. დამონტაჟდება ბეტონის მოზაიკური საფეხურები. მოეწყობა მეტალოპლასტმასის ფანჯრები ევროგადების მექანიზმით. ხის კონსტრუქციები დამუშავდება ხანძარსაწინააღმდეგო ხსნარით. მოეწყობა ლამინირებული იატაკი და დაიგება კერამიკული ფილა. 2750 კვ.მ მოცულობის იატაკი მოპირკეთდება ხელოვნური გრანიტის ფილებით. კედლებზე მოეწყობა კერამიკული ფილები წებო-ცემენტის მეშვეობით. დამონტაჟდება ელ.განათებისა და კომუნალური სისტემები. 4. ანდრონიკაშვილის ქუჩაზე მდებარე № 13 საბავშვო ბაღის სარეკონსტრუქციო სამუშაოები - არსებულ შენობის რეკონსტრუქცია ორ დამოუკიდებელ შენობას შორის ახალი შენობის აშენებამე-3 სართულის მატებით, სახურავის მოწყობა ლითონის ფურცლებით, ტიხრებისა და კედლების მოწყობა, იატაკების მოწყობა პარკეტითა და კერამოგრანიტის ფილებით, მეტალოპლასტმასის ფანჯრებისა და კარების მოწყობა, შენობის შიდა და გარე წყლისა და საკანალიზაციო სისტემის მოწყობა, ადმინისტრაციული შენობის გარემონტება, სახანძრო სიგნალიზაციის მონტაჟი, ეზოს კეთილმოწყობა; 5. საბავშვო ბაღების კაპიტალური რემონტი- ქვეპროგრამის ფარგლებში იგეგმება ქ.ბათუმის ტერიტორიაზე არსებული 4 საბავშვო ბაღის (პუშკინის ქუჩაზე მდებარე №16, მელიქიშვილის ქუჩაზე მდებარე №17; სამრეწველო უბანში მდებარე №23 და №24 საბავშვო ბაღები) კაპიტალური რემონტი; პროექტის ფარგლებში იგეგმება წყალმომარაგების, გაზმომარაგების, თბომომარაგების, კანალიზაციის, გარე განათების ქსელების სრული რეაბილიტაცია, რიგ შემთხვევებში შენობის მზიდი კონსტრუქციების სადემონტაჟო სამუშაოების განხორციელება, შენობის შიდა და გარე პერიმეტრების კოსმეტიკური რემონტი, შენობის შიდა კონსტრუქციების, სახურავის და გარე ტერიტორიების კეთილმოწყობა.

**სასპორტო და დასვენების ობიექტების რეაბილიტაციის ქვეპროგრამით გათვალისწინებულია შემდეგი ღონისძიებები:**

1. სპორტული მოედნების მშენებლობა - ღონისძიების ფარგლებში დაგეგმილია ქ.ბათუმის შემოერთებულ ტერიტორიებზე სამი მარტივი ტიპის სპორტული მოედნის მშენებლობა.
2. ფრიდონ ხალვაშის გამზირი №162-თან არსებული მინი-სტადიონის კაპიტალური შეკეთება,
3. კახაბრის ქ.№1-თან არსებული მინი-სტადიონის კაპიტალური შეკეთება,
4. ანგისის დასახლებაში სპორტული ბაზის მშენებლობა - 2 ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნის მოწყობა, ტრიბუნების მოწყობა, განათების მოწყობა.
5. გონიოს დასახლებაში სპორტული მოედნის რეაბილიტაცია.